ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

15 თებერვალი, ხუთშაბათი, 1990 წ.
№ 92 (10 201) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან



# ფეხბურთს პროფესიული ხელმძღვანელობა სჭირდება

**დღეს** თბილისში გაიმართება საქართველოს სსრ ფეხბურთის ფედერაციის დამფუძნებელი ყრილობა. ეს მეტად მნიშვნელოვანი, საგანგებო ღონისძიებაა არა მარტო საფეხბურთო, არამედ მთელს ჩვენს სპორტულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ბოლო ხანებში ფეხბურთში მნიშვნელოვანი გარდაქმნები მოხდა საკავშირო მასშტაბით. ეს ძვრები შესამჩნევი იყო, არავის აეჭვებდა, რომ ძველი, ე. წ. ადმინისტრაციულ-მბრძანებლობითი მეთოდებით ფეხბურთის მართვა აღარ შეიძლებოდა, რომ მარტოოდენ ინსტრუქციულმა განკარგულებებმა და დირექტივებმა კარგი ვერაფერი მოგვიტანა, რომ მართვის ამ დრომოჭმულ, არქაულ მეთოდებს მხოლოდ ზიანი და ვნება მოჰქონდა ჩვენი ფეხბურთისთვის, მაგრამ მოხდა ისე რომ ფეხბურთის სამართავად შექმნეს კიდევ ერთი, ახალი ხელმძღვანელი ორგანო — საფეხბურთო ლიგების კავშირი და იმთავითვე, როგორც კი ეს კავშირი ჩამოყალიბდა, სათავე დაედო უშეღავათო, შეურიგებელ ბრძოლას სწორედ ფეხბურთის საკომანდოდ, ახალი და ახალი დირექტივებისა და ცირკულარების შესაქმნელად. ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ფეხბურთის ფედერაცია, ლიგების კავშირი და საკავშირო სპორტსახკომის ფეხბურთის სამმართველო. საქმე კიდევ უფრო აირია, ფეხბურთს, ადამიანთა ამ უსაყვარლეს გასართობს, ყველა თავის მხარეს ექაჩებოდა. მას სასიკეთო პირი არ უჩანდა.

საქართველოში მდგომარეობა აქამდე არ მისულა, მაგრამ რა დასამალია, ხალხის ამ საყვარელი და პოპულარული სახეობის ხელმძღვანელობას თითქმის მთლიანად ჩამოსცილდა ფეხბურთის ფედერაცია, მისი პრეზიდიუმი და დარგობრივი კომისიები. საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია, რომელიც ოდესღაც თბილისის „დინამოს“ დიდი წარმატებების წლებში, ფრიად აქტიურად და ენერგიულად საქმიანობდა, თანდათან აერიდა ფეხბურთის მართვის საქმეს, გული აიცრუა მუშაობაზე. მაგრამ საქართველოს ფეხბურთი ეს ხომ მარტო თბილისის „დინამო“ არაა, ფეხბურთი საქართველოში უყვართ ყველგან, მთად და ბარად, დიდსაც და პატარასაც და აქტიური, ენერგიული მუშაობაც სწორედ იქაა საჭირო, საიდანაც თბილისის „დინამოსთვის“ მოდის შევსება.

ქართულ ფეხბურთს შარშან ჰქონდა რამდენიმე მეტად მნიშვნელოვანი, ღირსშესანიშნავი, წარმატება. ლაპარაკი უპირველეს ყოვლისა იმაზეა, რომ ლანჩხუთის „გურიამ“ კვლავ მოიპოვა უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება, ხოლო სოხუმის დინამოელებმა მათთვის ღირსეულ რანგს მიაღწიეს და I ლიგის საკავშირო გათამაშებაში დაიმკვიდრეს ადგილი. ამ წარმატებებით ყველანი ვხარობდით, მაგრამ ქართული ფეხბურთის მიღწევაზე მაინც მორიდებით

იხ. მე-3 გვ.



# ოთარ მჭედლიშვილს — ვერცხლის მედალი

**მოსკოვი.** კრილატსკოეს ოლიმპიურ ველოტრეკზე დამთავრდა ზამთრის საკავშირო ჩემპიონატი, რომელიც, ფაქტიურად, ძალთა პირველი სერიოზული შემოწმება იყო ახალ სეზონში. უკვე ვიუწყებოდით იმის შესახებ, რომ სპრინტერთა რბოლის ნახევარფინალში გავიდნენ საბჭოთა კავშირის ექსჩემპიონი, თბილისელი ოთარ მჭედლიშვილი და სამი ნაკლებად ტიტულოვანი ველოსიპედისტი — ურმო ვალტერი, ანდრეი ბელოსტეცკი და სერგეი იგნატოვი. ნახევარფინალში მჭედლიშვილმა და ბელოსტეცკიმ წარმატებით იასპარეზეს, მოიგეს სერიები და ფინალში ბრძოლის უფლება მოიპოვეს.

ფინალში კი... ბელოსტეცკიმ მისთვის ჩვეული სწორხაზოვანი და ძალისმიერი ტაქტიკით დაამარცხა უფრო გამოცდილი მჭედლიშვილი და ჩემპიონის ოქროს მედალი მოიპოვა. მჭედლიშვილს ვერცხლის ჯილდო ხვდა. მესამე ადგილი დაიკავა ურმო ვალტერმა.

ქალთა შორის 500 მეტრზე გარბენში (ადგილიდან) საბჭოთა კავშირის ჩემპიონი გახდა ოლგა გრიშინა — 36,611. მანამდე კი ამ დისტანციაზე (ოღონდ სვლით) მსოფლიო რეკორდის გაუმჯობესება სცადა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ერიკა სალუმიაემ. იგი, ფაქტიურად, თავის თავს ებრძოდა, ვინაიდან რეკორდის მფლობელი თავად იყო, მაგრამ ამ ბრძოლაში დამარცხდა. სალუმიაემ თავის თავთან 0,5 წამი წააგო.

# მოგებაც, წაგებაც...

**თბილისის** ტექნიკური უნივერსიტეტის კალათბურთელ ქალთა გუნდმა, რომელიც საკავშირო ჩემპიონატის პირველ ლიგაში ასპარეზობს, 10 და 11 თებერვალს ორი მატჩი გამართა ფრუნზეში ადგილობრივ „სტროიტელთან“. პირველი შეხვედრა მან წააგო ანგარიშით — 71:99, მეორე კი გაცილებით უკეთ ჩაატარა და მეტად საჭირო გამარჯვება მოიპოვა — 96:89. აღსანიშნავია, რომ ამ მატჩებში მონაწილეობა არ მიუღია თბილისელთა კაპიტანს ნ. ლორიას.

ახლა ჩვენს კალათბურთელებს ისევ გასვლითი შეხვედრა ელით სვერდლოვსკის „ურალმაშთან“.

# საპრიზო ფონდი—50 ათასი მანეთი

**მოსკოვი.** დამთავრდა ჩოგბურთელთა კომერციული ტურნირი „ყველა ვარსკვლავი“, რომელშიც ამჟამად მოქმედ სპორტსმენთა გარდა, ცალკე ასპარეზობდნენ ვეტერანი ჩოგბურთელები. ვეტერანთათვის დაწესებული პირველი პრიზი — 3000 მანეთი მიიღო მოსკოველმა ვლადიმერ კოროტკოვმა, რომელმაც ფინალში აჯობა ტალინელ თომას ლეიუსს — 6:4, 6:7, 6:4. ამჟამად მოქმედ სპორტსმენთა მთავარი პრიზი — 15 ათასი მანეთი ერგო ანდრეი ჩესნოკოვს, რომელმაც გადამწყვეტი ბრძოლა ხარკოველ დიმიტრი პოლიაკოვს მოუგო — 7:5, 6:7, 6:4. ტურნირის ორგანიზატორები იყვნენ ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი და საბჭოთა — ამერიკულ-იტალიური წარმოება „ტაისსპორტი“. შეჯიბრების საპრიზო ფონდი 50 ათას მანეთს შეადგენდა.

**ჩიკაგო.** აქ დაწყებულ ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირის — „ვირჯინია სლიმზის“ სერიის ერთ-ერთი შეჯიბრების სასტარტო შეხვედრაში ნატალია ზვერევამ მარცხი განიცადა. მას აჯობა ამერიკელმა კეტი რინალდიმ — 7:5, 3:6, 6:1. მარტინა ნავრატილოვამ (აშშ) მოუგო ანდრეა ტემეშვარის (უნგრეთი) — 6:1, 6:3. შეჯიბრებას გამოეთიშა ესპანელი არანტა სანჩესიც ამერიკელ ლინდა ჰარვეი-უაილდთან მარცხის შემდეგ — 3:6, 6:7.

**პიოტერბორგი.** მსოფლიო თასის მორიგი ეტაპის პირველ დღეს საბჭოთა მოცურავეებმა ორი ოქროსა და ოთხი ვერცხლის მედალი მოიპოვეს. გამარჯვება წილად ხვდათ 50 მ.

## ტელეტაიპი - მკითხველს

ბატერფლაის სტილით ცურვაში ევგენი კოტრიაგას (24.80) და 50 მ. ბრასით ცურვაში დიმიტრი ვოლკოვს (28,22).

**რომი.** პროფესიულ რინგზე საასპარეზოდ იტალიის დედაქალაქს ესტუმრნენ ლენინგრადელი ანდრეი რუდენკო და ტაშკენტელი ხაკიმ მატჩანოვი. რუდენკომ (86 კგ) ნოკაუტით მოუგო მოჰმედ ტაირის (საფრანგეთი), მატჩანოვი კი მეხუთე რაუნდში წარბის დაზიანების გამო მოიხსნა შეჯიბრებიდან.

**ბრიუსელი.** ბელგიის ღია ჩემპიონატის პირველსავე ტურში დამარცხება განიცადა კალინინგრადელმა ჩოგბურთელმა ა. ვოლკოვმა — 4:6, 6:7.

**ენგელბერგი** (შვეიცარია). „ოთხი ტრამპლინის ტურნეს“ ბოლო ეტაპზე თავი გამოიჩინეს ა. პ. ნიკოლამ (ფინეთი) და ფ. პეტერმა (იუგოსლავია). 90 მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში ნიკოლამ 123 და 107 მეტრი აჩვენა, პეტერმა კი 116 და 115 მეტრი. საბოლოო ჯამში ორივემ 212-212 ქულა დააგროვა და გამარჯვებაც ორთავეს მიენიჭა.

# უშუ — ჩინეთიდან საქართველომდე



**უშუ უაღრესად პოპულარულია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში და მათ შორის საქართველოში. ჩვენში უშუ-ს მისდევენ ინდივიდუალურად, ჯგუფურად, არსებობს სკოლებიც, ახლახან ჩამოყალიბდა უშუ-ს ეროვნული ფედერაცია. მიუხედავად ამისა, ფართო საზოგადოებისათვის უცნობია უშუ-ს ჭეშმარიტი არსი, დანიშნულება, ისტორია. ამაში ნაწილობრივ დამნაშავეა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიც, რომლებიც ხშირად ზედაპირულად, არაობიექტურად, არსში წვდომის გარეშე მსჯელობენ უშუ-ს თაობაზე. ამ წერილში შევჩერდებით ზოგიერთ პრინციპულ საკითხზე, ქართული უშუ-ს დღევანდელ პრობლემებსა და მომავალ პერსპექტივებზე.**

**უშუ** აღმოსავლური ორთაბრძოლების უძველესი სახეობაა. იგი გონებრივი განვითარების, ჯანმრთელობის შენარჩუნების, გართობის საუკეთესო საშუალებაა. გარდა ამისა, უშუ იმთავითვე მრისხანე საბრძოლო იარაღიც იყო. ყოველივე ამან განაპირობა უშუ-ს უაღრესად ღრმა სოციალური მნიშვნელობა.

უშუ თავისი ისტორიის სათავეს ჩინეთში იღებს. იგი უკავშირდება შაო-ლინის მონასტრის სახელს, სადაც უშუ-ს თავდაცვის მიზნით სწავლობდნენ. მოგვიანებით, უშუ თავდასხმის იარაღიც გახდა. მეშვიდე საუკუნეში, ტანგის დინასტიის მმართველობის პერიოდში, უშუ ახალგაზრდა მეომრების წვრთნის პროგრამაში შეიტანეს. სონგის დინასტიის (960-1279) მცდელობით უშუ-მ უფრო „სასცენო“ ორთაბრძოლის ფორმა შეიძინა. მინგის დინასტიამ (1368-1644) უშუ სამხედრო ხელოვნებად აქცია. ჰინგის დინასტიის (1644-1911) მმართველობის წლებში ჭეშმარიტად სახალხო ფენომენი გახდა და იგი ჩინეთში დღესაც სპორტის ყველაზე პოპულარული სახეობაა.

XVII საუკუნეში უშუ-ს ევროპელებიც გაეცნენ. აქაურმა მეცნიერებმა შეისწავლეს და თარგმნეს ტრადიციული ჩინური კულტურის ნიმუშები, მათ შორის „ცვლილებათა წიგნი“. მასში, სხვათა შორის, მოთხრობილია უშუ-ს ხელოვნებაზე. ევროპაში ჩინური ორთაბრძოლების კულტურის პოპულარიზაციის საქმეში უდიდესი წვლილი მიუძღვის ცნობილ გერმანელ ფილოსოფოსს და მათემატიკოსს გოტფრიდ ვილჰელმ ლაიბნიცს.

დღეს მსოფლიოში უშუ-ს ოთხი საერთაშორისო ფედერაციაა.

**საერთაშორისო ფედერაცია** ჩამოყალიბდა 1985 წლის აგვისტოში, ჩინეთში. აერთიანებს 17 ქვეყანას.

**ევროპის ფედერაცია** ჩამოყალიბდა 1985 წლის ნოემბერში (12).

**უშუ-ს და კუნგ-ფუ-ს სამხრეთ ამერიკის ფედერაცია** ჩამოყალიბდა 1986 წლის ნოემბერში, არგენტინაში. მასში გაერთიანებულია 9 ქვეყანა.

**უშუ-ს აზიის ფედერაცია** ჩამოყალიბდა 1987 წლის სექტემბერში, იაპონიაში. აერთიანებს 11 ქვეყ-

იხ. მე-4 გვ.

პრობლემები სპორტული სუვერენიტეტის გზაზე

მოვლენები კომენტარით

# რატომ იმუქრება ვიაჩესლავ კოლოსკოვი?

## ანუ ცენტრის კიდევ ერთი უსაფუძვლო ბრალდების შესახებ

საბჭოთა ფეხბურთში მართვის სადავეებისთვის ბრძოლის პერიპეტიები და ორხელისუფლებიანობის უდღეური, სამარცხვინო ისტორია, ყველასთვის კარგადაა ცნობილი, ამიტომ აქ ამ საკითხს დაწვრილებით აღარ შევეხებით. შედეგზე კი მოკლედ ვიტყვით: ოპოზიციამ — საფეხბურთო ლიგამ საბოლოოდ დაყარა ფარ-ხმალი. (უნდა ვიგულისხმოთ ფედერაციისადმი გარეშე ძალების აქტიური მხარდაჭერით). ეს ისე მოულოდნელი იყო, რომ ბევრს ეგონა, მანამდეც და ახლაც ორივე ორგანიზაცია თვალთმაქცობდა, რომ მათ, ასე ვთქვათ, სპექტაკლი გაითამაშეს და ყასიდად უქნევდნენ მუშტებს ერთმანეთს. ახლა ფედერაციის ერთპიროვნული ხელისუფლების განმტკიცება იმას ისახავს მიზნად, რომ ძირშივე ჩახცეს მახვილი ყველა იდეას, რაც ფეხბურთში მოკავშირე რესპუბლიკების სუვერენიტეტს ეხება. არავითარი დამოუკიდებლობა და უფლებების დეცენტრალიზაცია, პირიქით — ცენტრის პოზიციების გამაგრება და ისეთი ადმინისტრაციულ-მბრძანებლური რეჟიმის დამკვიდრება, რომელიც უმაგალითო შეზღუდვების დაკანონებით რესპუბლიკის ფედერაციებს აიძულებს უხმოდ და უსიტყვოდ დაემორჩილონ ცენტრს.

ალბათ ბევრი დაგვეთანხმება, რომ ჩვენთან, საქართველოში, უფრო ადრე იჩენს ხოლმე თავს გარდაუვალი გარდაქმნების სიმპტომები, ვიდრე სხვაგან. ეს სპორტსაც ეხება და, ისევე, როგორც სხვა სფეროებში, აქაც ყოველგვარი სითამამე ცენტრის შეშფოთებას იწვევს. საქართველოში ფეხბურთის დამოუკიდებლობისათვის წამოწყებული მოძრაობაც იმთავითვე გახდა ცნობილი ცენტრისთვის, მაგრამ...

პოლიტიკა ათასგვარ ხრიკებს იცნობს. ჩასაფრება, ხელსაყრელ დრომდე ლოდინი და ფარისევლობაც, მოგეხსენებათ, თავისებური პოლიტიკაა. ასეთ პოლიტიკას დაადგა ცენტრი ჩვენს მიმართ. ლოდინისთვის წერტილის დასმის ხელსაყრელი დროც დაუდგათ. ამ დღეებში მოსკოვში გაიმართა ფედერაციისა და საფეხბურთო ლიგის შემრიგებლური პრესკონფერენცია, რომელზედაც საქართველოს საკითხსაც შეეხნენ. რაკი მთავარ მოქიშპესთან მოათავა საქმე, ფედერაციამ ჩათვალა, რომ სწორედ ახლა იყო საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისთვის თითის დაქნევის დრო. ამას ვინ ჩივის, ყველაფერი გაკეთდა მუხანათური, უსაფუძვლო ცილისწამებისათვის. ჩვენმა ფეხბურთის გულშემატკივრებმა იციან? მოსკოვში ამას წინათ გამართულ თავყრილობაზე, სადაც ფეხბურთის საკავშირო ფედერაციის რეორგანიზაცია მოხდა, საქართველოს დელეგაციას სურდა გამოეხატა თავისი პოზიცია, მაგრამ ეს არ მოხერხდა, ვფიქრობთ, ისევ ცენტრის ზეგავლენით. ლიგასთან ბრძოლა გრძელდებოდა და ასეთ სიტუაციაში ცენტრს ჩვენი საკითხის გახმაურება ხელს არ აძლევდა. ჯერ დაამარცხა ერთი, მერე გაუსწორდა მეორეს. პრესკონფერენციაზე, მას შემდეგ, რაც კოლოსკოვმა (ფედერაციის თავმჯდომარე) გამარჯვებულად ჩათვალა თავი, ჯერი მიდგა სცენარზე, რომელიც საქართველოს შეეხებოდა. ასეთ დროს, რაღა გასაკვირია, ფაქტებს ისე შეალამაზებენ და შეაფასებენ, როგორც თავად სურთ. მით უმეტეს, თუ რესპუბლიკიდან იქვე ვერავინ გაგცემს პასუხს, მეტიც, რეპლიკითაც ვერაფერს შეგისწორებს. ხვალ კი საკავშირო პრესაში სასურველს სინამდვილედ გაასაღებენ და მორჩა, სცენარმა შეასრულა თავისი მისია.

ჩვენი გაოცება გამოიწვია კოლოსკოვის პოზიციამ. მან თქვა, რომ საქართველოს მართლაც სურს საკავშირო ფედერაციიდან გავიდეს, რომ საქართველოს წარმომადგენლებმა შესაბამისი თხოვნითაც მიმართეს ევროპის საფეხბურთო ორგანიზაციებს, მაგრამ უარი მიიღეს, რადგან ამით ირღვეოდა ორივე საერთაშორისო ორგანიზაციის წესდება. ახლა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ თანხმობა გამოთქვა თავისი გუნდების მონაწილეობაზე სსრ კავშირის უმაღლესი და პირველი ლიგების ჩემპიონატებში.

ასეთია ოფიციალურად ფაქტის კოლოსკოვისეული ინტერპრეტაცია, რაც შეუძლებელია უპასუხოდ დარჩეს. დავიწყოთ თუნდაც იმით, რომ საქართველოს, მის სპორტულ ორგანიზაციებს, ოფიციალურად და რადიკალურად არასოდეს დაუსვამს საკითხი ფეხბურთის საკავშირო ფედერაციიდან გამოყოფის შესახებ. ეს არის ჩვენი გონივრული ამოცანა, მაგრამ არა ახირება და თვითმიზანი. საკავშირო ფეხბურთის ფედერაციის დამფუძნებელი კონფერენციის წინ შედგა განცხადების ტექსტი, რომელიც ჩვენს დელეგაციას უნდა წაეკითხა იმ თავყრილობაზე. ვივარაუდეთ, და ეს ვარაუდი გამართლდა, რომ კონფერენციაზე საქართველოს დელეგაციას არ მისცემდნენ ამ განცხადების წაკითხვის შესაძლებლობას. სწორედ ამ მოსაზრებით განცხადების ტექსტი „ლელოში" დავბეჭდეთ თვით მისი შემდგენლების დაუკითხავად. რატომ? გვინდოდა ჩვენს მკითხველებს და ფეხბურთის გულშემატკივრებს სცოდნოდათ, რას მოვითხოვდით და რა პოზიციაზე ვიდექით. მაგრამ კოლოსკოვს პრესკონფერენციაზე ამის თაობაზე არაფერი უთქვამს. მას რატომღაც „გამორჩა", რომ ჩვენ ვაყენებდით ალტერნატიულ მოთხოვნებს და ამ მოთხოვნების გათვალისწინებით გამოვდიოდით კონკრეტული წინადადებებით. კარგი იქნებოდა, კოლოსკოვს პრესკონფერენციაზე მაინც წაეკითხა საქართველოს დელეგაციის განცხადების ტექსტი, რომელიც ადრე კონფერენციაზე, თურმე საქმეში ჩაიკრეს, ასე უფრო გასაგები იქნებოდა პრესკონფერენციის მონაწილეებისთვის ჩვენი პოზიცია, მაგრამ...

ამ სტრიქონების ავტორს, ცხადია, წუთითაც არ უფიქრია ჩამოშორებოდა ქართული ფეხბურთის სუვერენიტეტისათვის წამოწყებულ მოძრაობას და, თუ ვინმემ რაიმე იცის მოვლენათა განვითარებაზე, ჩვენც გვაქვს ამის პრეტენზია. ამიტომ თავს ნებას ვაძლევთ არ დავეთანხმოთ კოლოსკოვის უპასუხისმგებლო განცხადებას.

გვინდა ვიკითხოთ: სად არის ის ოფიციალური დოკუმენტი, რომლითაც საქართველომ მიმართა ფეხბურთის საერთაშორისო ორგანიზაციებს და სად არის ის ოფიციალური საბუთი, რომელიც ამტკიცებს, რომ თხოვნაზე უარია მიღებული? სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, ასეთი დოკუმენტები არ არსებობს და მათ ვერც კოლოსკოვი იხილავდა. ცენტრის „ჩასაფრებების" მეთოდი პირადად ჩემთვის კარგად იყო ცნობილი მრავალი მაგალითით. გავიხსენოთ თუნდაც ის შემთხვევა, როცა ბალტიისპირეთის რესპუბლიკების ოფიციალურ მიმართვას საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტისადმი, საკავშირო ღვარძლიანი და ცინიზმით სავსე გამოხმაურება მოჰყვა.

როცა ჩვენთან დღის წესრიგში დადგა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციებთან კონტაქტის დამყარება, გაიმართა მსჯელობა, ვის უნდა ეთავა ეს საქმე — საქართველოს სპორტსახკომს, ფეხბურთის ფედერაციას თუ ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს? სპორტსახკომში გამართულ ერთ-ერთ თათბირზე გამოვთქვი აზრი, რომ ზემოთ ჩამოთვლილთაგან არც ერთს არ უნდა მიემართა ფიფა-ს და უეფა-ს ხელმძღვანელებისთვის, რადგან ეს იქნებოდა ოფიციალური თხოვნა და უარის შემთხვევაში (რასაც ველოდით კიდეც, მაგრამ საქმე ხომ უნდა წამოგვეწყო) ჩვენი სპორტული ორგანიზაციები უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდებოდნენ. ჩვენი წინადადება ასეთი იყო: რაკი „ლელოს" ფურცლებზე კარგა ხანია მიმდინარეობს დისკუსია ქართული ფეხბურთის მომავალზე, აჯობებდა გაზეთის მკითხველი ფეხბურთის გულშემატკივრების სახელით მოგვესინჯა ნიადაგი ფიფა-სთან და უეფა-სთან ურთიერთობის დასამყარებლად... ასეც გადაწყდა. ჩვენს შეკითხვებზე ტელექსების გაცვლით მივიღეთ პასუხი. მაგრამ ეს იყო, ვიმეორებთ, პასუხი გაზეთის შეკითხვაზე და არა რომელიმე ოფიციალური სპორტული ორგანიზაციის მიმართვაზე. მაშ, რას ეყრდნობა კოლოსკოვი? თუ ჩვენი გაზეთი აქვს მხედველობაში, ეთქვა პირდაპირ და გამგები გაიგებდა. ახლა ვხვდებით, რა დღე დაგვადგებოდა, ოფიციალურად რომ გაეგზავნა ვინმეს ასეთი თხოვნა თუ შეკითხვა უეფა-სა და ფიფა-ში. ამასთან, ვიტყვით, რომ ფიფა-სგან და უეფა-სგან მიღებულ პასუხებში სულაც არ ამოგვიკითხავს ისეთი აზრი, როგორსაც ცენტრი ავრცელებს. კოლოსკოვი უარის მოტივსაც თხზავს: „ამით ირღვევა ორივე საერთაშორისო ორგანიზაციის (იგულისხმება უეფა და ფიფა) წესდება". გვინდა ვიკითხოთ, სსრ კავშირისა და საქართველოს კონსტიტუცია რომ ირღვევა, სუვერენული რესპუბლიკის კანონიერი უფლებებისა და ინტერესების შესახებ ცენტრში სიტყვის გაგონებაც რომ არავის სურს, ეს არაფერია? თუ ცენტრში მართლა დემოკრატები სხედან, ხომ შეიძლებოდა სხვა კუთხით შეეხედათ საკითხისთვის, კერძოდ, ფიფა-ს და უეფა-ს ხელმძღვანელებისთვის მიეწერათ, რომ სსრ კავშირი არის მოკავშირე სუვერენული რესპუბლიკების ქვეყანა და მის წევრ ყველა რესპუბლიკას კონსტიტუციით აქვს მინიჭებული სხვადასხვა სფეროში, მათ შორის სპორტში უცხოეთთან დამოუკიდებელი ურთიერთობის დამყარების უფლება. ოდნავადაც კი არ გვაეჭვებს, რომ ცენტრის ამგვარ დემოკრატიულობას საერთაშორისო სპორტული ორგანიზაციები გაგებით მოეკიდებოდნენ, მეტიც, აღიარებდნენ, რომ ნამდვილი გარდაქმნა საბჭოთა სპორტშიც დაიწყო. სინამდვილეში ცენტრი მთელი ძალით ექაჩება თავისკენ რესპუბლიკების სპორტული ინტერესების სადავეებს. ადრე ცენტრის მოთხოვნები ყველაფერში უსიტყვოდ და უპრეტენზიოდ სრულდებოდა და, რაც უფრო მორჩილნი ვიყავით, მით უფრო გვიჭერდნენ მარწუხებს. კანონი მათთვის არ არსებობდა და არც უფლებებისა თუ უუფლებობის საზღვარი ყოფილა დადგენილი.

ახლა სხვა დროა და ცენტრის მეთოდიც იცვლება. კოლოსკოვის პოზიცია არამც და არამც არ არის ერთი პიროვნების ახირება. ის, რაც ახლა ჩვენი ფეხბურთის გარშემო ხდება, ზემოდან დაწოლის ამ ახლებური მეთოდების არსენალიდანაა „ნასესხები". თანაც — საქმე მარტო ჩვენ არ გვეხება, ჩვენ გვიგულისხმეს, მაგრამ საერთოდ დაემუქრნენ ყველა რესპუბლიკას, რომელიც საერთოდ სპორტში დამოუკიდებლობისთვის იბრძვის ან ჯერჯერობით მხოლოდ იწყებს ნიადაგის მომზადებას ამ იდეისათვის.

რაკი ჩათვალა, რომ ის პირველი განცხადება შერჩა, ფეხბურთის საკავშირო ფედერაციამ 11 თებერვალს „სოვეტსკი სპორტის" მეშვეობით უფრო დააკონკრეტა თავისი პოზიცია და პირდაპირ ბრალდებაზე გადავიდა. აი, ამონაწერი: „საქართველოს წარმომადგენლებმა ნამდვილად დასვეს საკითხი საკავშირო ფედერაციიდან გასვლის თაობაზე და ამასთან დაკავშირებით მიმართეს ფიფა-ს და უეფა-ს. იქ მათ უარი უთხრეს, [illegible] პუნქტებით ისინი არღვევენ საერთაშორისო საფეხბურთო ორგანიზაციების წესდებას. ამ დღეებში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ გვაცნობა, რომ მისი წამყვანი გუნდები მონაწილეობას მიიღებენ ქვეყნის ჩემპიონატში". ეს უკვე მეტისმეტია, სიმართლე აუცილებლად უნდა გაირკვეს, თორემ გამოდის, რომ საქართველოში რაღაც ძალები ხალხისგან ფარულად მიმართავენ მოლაპარაკებებს, რაც საბოლოო ანგარიშით თითქოს უპერსპექტივო წამოწყებაა და ბოლოს იძულებული ვხდებით ისევ ფეხბურთის საკავშირო ფედერაციას მივადგეთ კარზე. გამოდის, რომ ისევ კოლოსკოვს ვუხრით თავს და ვემუდარებით: შევცდით, საერთაშორისო საფეხბურთო ორგანიზაციებში არ გვიღებენ, თქვენს იქით გზა არა გვაქვს, ისევ თქვენ უნდა გვიხსნათ და თქვენს ჩემპიონატში გვათამაშოთ. აი, ასეთია ორივე განცხადების ქვეტექსტი.

18 თებერვალს, როცა ეს წერილი უკვე მზად იყო დასაბეჭდად, „სოვეტსკი სპორტში" ფიფა-ს მიერ ფეხბურთის საკავშირო ფედერაციაში გამოგზავნილი მემორანდუმი გამოქვეყნდა, ახლა ყველაფრიდან ჩანს, რომ „პონედელნიკის გუნდის" დამარცხებაში სწორედ ამ დოკუმენტმა შეასრულა მთავარი როლი. ფიფა-ს გაფრთხილება ეხება ფედერაციას და ლიგას შორის წამოჭრილი დავის საკითხებს, კოლოსკოვმა და მისმა ფედერაციამ კი თავიანთ განცხადებებში ყველაფერი საქართველოს „გადმოაბრალეს", საქმე ისე წარმოადგინეს, თითქოს ფიფა ჩვენს გამოა შეშფოთებული საბჭოთა ფეხბურთისა და მისი ფედერაციის ბედით. ასეთი რჩება შთაბეჭდილება. ცხადია, აჯობებდა ჯერ ფიფა-ს ეს მემორანდუმი დაებეჭდათ, მაგრამ მაშინ ხომ საქართველოზე გამოლაშქრებას და საკუთარი ცოდვების სხვისთვის გადაბრალებას ველარ შეძლებდნენ. მემორანდუმში საქართველო საერთოდ არ არის ნახსენები. ახლა ყველაფერ ამას იმიტომაც ვწერთ, რომ ნებისმიერ საქმეში გათკეცებული სიფხიზლე გვმართებს. საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის შექმნის შემდეგ, რაც, სხვათა შორის, ცენტრმა უფრო მტკივნეულად აღიქვა, ვიდრე ბალტიისპირელთა გადაწყვეტილება (ბალტიისპირეთში ბოლოს და ბოლოს ძველი ოლიმპიური კომიტეტი აღადგინეს, ჩვენ კი მთელს კავშირში პირველებმა შევიტანეთ „დისონანსი" საბჭოთა ოლიმპიურ ოჯახში), საკავშირო სპორტული ორგანიზაციები ჩვენს წინააღმდეგ ნამდვილ ფარულ ომს ეწევიან. ამას უამრავი მაგალითი ადასტურებს, რაზედაც შევეცდებით მკითხველებს ცალკე ვუამბოთ.

თენგიზ ბაჩეჩილაძე,
საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი.

# მემორანდუმი ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციიდან

**ფეხბურთის** საერთაშორისო ფედერაციის შტაბ-ბინიდან, რომელიც ციურიხში იმყოფება, ამას წინათ სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციის თავმჯდომარის ვ. კოლოსკოვის სახელზე მოვიდა ოფიციალური წერილი, რომელიც „სოვეტსკი სპორტში" დაიბეჭდა. ვაქვეყნებთ ამ მემორანდუმის ტექსტს:

„პატივცემულო ბ-ნო პრეზიდენტო!

სინანულით გატყობინებთ, რომ ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია გარკვეული ხნის განმავლობაში ყურადღებით და შეშფოთებით ადევნებს თვალს იმ ნეგატიურ მოვლენებს, რაც საბჭოთა კავშირის ფეხბურთის ორგანიზაციის სტრუქტურას ეხება. ორმაგად გვაშფოთებს ის ფაქტი, რომ ეს ნეგატიური მოვლენები ხდება სწორედ ახლა, ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ შეჯიბრებათა წინ, რომელშიც სსრ კავშირის ნაკრები გუნდიც მონაწილეობს.

ფიფა მთლიანად, სრული გაგებით ეკიდება იმ დრამატულ ცვლილებებსა და მოვლენებს, რაც ამჟამად საბჭოთა კავშირში ხდება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ვალდებულია სასწრაფოდ მოუხმოს სსრ კავშირის საპატივცემულო ფეხბურთის ფედერაციას გამოავლინოს მთელი თავისი კანონიერი ძალაუფლება. ფედერაცია ჩვენი წესდებით ერთადერთი მმართველი ორგანოა, რომელსაც უფლება აქვს უხელმძღვანელოს ფეხბურთს ყოველ ცალკეულ ქვეყანაში, რომელიც კი ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის შემადგენლობაში შედის.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ ახალმა თვითმარქვია საფეხბურთო ორგანიზაციამ, რომელსაც პრეტენზია აქვს ერთპიროვნულად განაგებდეს „პროფესიულ" ფეხბურთს თქვენს ქვეყანაში (ნება მოგვეცით კიდევ ერთხელ შეგახსენოთ, რომ მოთამაშეთა სამოყვარულო, ნახევრადსამოყვარულო ან პროფესიული სტატუსი შეიძლება გაირკვეს და განისაზღვროს მხოლოდ შესაბამისი ეროვნული ასოციაციის მიერ და მხოლოდ შემდეგ იქნას ასეთად აღიარებული ფიფა-ში) გზად აირჩია ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის წესდების იგნორირება, რაც თქვენივე ფედერაციის მიერაა მიღებული.

ამის შედეგად შევამჩნიეთ, რომ საბჭოთა ფეხბურთის ფედერაციის იურისდიქციის ქვეშ მყოფი საფეხბურთო კლუბები მრავალრიცხოვან დარღვევებს ახდენენ და არაფერს გატყობინებენ თავიანთ საზღვარგარეთულ მოგზაურობათა, საერთაშორისო მატჩების შესახებ, ამან კი ის გამოიწვია, რომ თვით სსრ კავშირის ფედერაციაც ამის თაობაზე თავის მხრივ არაფერს ატყობინებს ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციას. დაგვეთანხმეთ, ბ-ნო პრეზიდენტო, რომ ყველაფერი ამის მოთმენა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება.

ამჟამად შექმნილ ვითარებაში ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციას სხვა გამოსავალი არა აქვს გარდა იმისა, რომ სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციას გამოუცხადოს გაფრთხილება. თუ ის საქმიანობა, რომელიც წესდებას ეწინააღმდეგება, თქვენი ახალი ორგანიზაციის უკანონო მოთხოვნათა ჩათვლით, დაუყოვნებლივ არ შეწყდება, ფიფა იძულებული იქნება ეს საქმე გადასცეს თავის აღმასრულებელ კომიტეტს, რომელიც 1990 წლის 5 ივნისს შეიკრიბება რომში. აღმასრულებელი კომიტეტი დისციპლინარულ სანქციებს მიმართავს თქვენი ეროვნული ასოციაციის მიმართ, რომელიც არ ასრულებს ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის წესდების მოთხოვნებს. როგორც იცით, ეს სანქციები ითვალისწინებს თქვენი ფედერაციის გამოთიშვას ყოველგვარი საერთაშორისო საქმიანობისგან, აგრეთვე, ყველა თქვენი გუნდის გარიცხვას ფიფა-ს მიერ ჩატარებული შეჯიბრებებიდან.

დიდად ვნანობთ, ბ-ნო პრეზიდენტო, მაგრამ უნდა შეგახსენოთ, რომ ყოველგვარი საერთაშორისო სპორტული ფედერაციის საქმიანობის საფუძველს უპირველეს ყოვლისა წარმოადგენს მკაცრი საპროცედურო და საწესდებო დისციპლინა, ჩვენი წევრი სახელმწიფოების ურთიერთპატივისცემა, აგრეთვე, ამ ორგანიზაციის ყველა იურიდიული დოკუმენტის აუცილებელი დამორჩილება. ეს ქვეყნები კი მხოლოდ საკუთარი ნება-სურვილით შედიან მის შემადგენლობაში.

გაიხსენეთ ჩვენი ამასწინანდელი გამოცდილება, როცა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაცია არ შეუშინდა გადამჭრელ ზომებს, როცა მისი ძირითადი პრინციპების მიმართ მუქარა გამოითქვა.

მხედველობაში ვღებულობთ ყველაფერ ზემოთქმულს და სურვილი გვაქვს თავიდან ავიცილოთ მოვლენათა არასასურველი მსვლელობა, ამიტომაც მზად ვარ როგორც გენერალურმა მდივანმა დახმარება გაგიწიოთ, ჩამოვიდე მოსკოვში ყველა დაინტერესებული მხარისთვის ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის დებულებისა და წესების განსამარტავად.

ფიფა-ს პრეზიდენტი დოქტორი ჟ. აველანჟი და მე, აგრეთვე, ფიფა-ს აღმასკომის ყველა წევრი დიდად შეწუხებული ვართ ყოვლად დაუსაბუთებელი ბრალდებებით, რომლებიც თქვენს საწინააღმდეგოდ წამოაყენეს საბჭოთა კავშირის მასობრივ ინფორმაციათა ორგანოებში, ამას ჩვენ მივიჩნევთ როგორც ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის შეურაცხყოფას, ვგმობთ მათ, ეს არის ჟურნალისტთა მოვალეობების არასწორი ინტერპრეტაცია, ვინაიდან თქვენ უკვე ათ წელზე მეტია ხართ საერთაშორისო ფეხბურთის ერთ-ერთი ყველაზე მცოდნე, გამოცდილი და პატიოსანი მომსახურე, საკუთარი ქვეყნის ჭეშმარიტი პატრიოტი.

დასასრულ მინდა ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტის სახელით დაგარწმუნოთ, რომ სრული მხარდაჭერა გექნებათ თქვენს ყოველგვარ საქმიანობაში, რაც კი მიმართულია კონსოლიდაციისაკენ და საბჭოთა კავშირში საფეხბურთო მოძრაობის წესრიგის დაცვისა და სტაბილურობის აღდგენისკენ. მუდამ გულდასმით მივადევნებთ თვალს მოვლენათა მსვლელობას, ახლა კი მოუთმენლად ველით კარგ ამბებს სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციიდან.

გისურვებთ ყველაფერ კარგს.

**გულწრფელად თქვენი**

**ი. ბლატერი,**
**ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის გენერალური მდივანი.**

**1990 წლის 7 თებერვალი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფეხბურთს პროფესიული ხელმძღვანელობა სჭირდება

(დასასრული)

...ემსჯელობდით, ვინაიდან თბილისის „დინამო" კლავინდებურად ულიმლამოდ თამაშობდა და უმთავრესად ...ეს ლიგაში ადგილის შენარ...აზე უხდებოდა ფიქრი.

სწორედ ასეთ ვითარებაში უნდა ...ეთქვა თავისი გადამწყვეტი, ავტორიტეტული სიტყვა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას, მაგრამ, ვიმეორებთ, ადრინდელი ენთუზიაზმი გაქრა, თვით პრეზიდიუმის სხდომებიც კი იშვიათად, შემთხვევიდან შემთხვევამდე თუ იმართებოდა.

ახლა განახლების დრო დადგა. დღეს დამფუძნებელი ყრილობაა, მან უნდა აირჩიოს ფედერაციის ახალი შემადგენლობა, მას სათავეში ჩაუყენოს ახალი პრეზიდიუმი, საქმე უნდა დაიძრას მკვდარი წერტილიდან.

უპირველესი საკითხავი ესაა: ვინ უნდა უხელმძღვანელოს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას, მის პრეზიდიუმს? მართალია, ფედერაცია საზოგადოებრივი ორგანოა, ე. ი. მისი წევრები საზოგადოებრივი დატვირთვით, უხელფასოდ მუშაობენ, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ ფედერაციაში, მის პრეზიდიუმში ადგილი დაიმკვიდრონ ე. წ. მოყვარულებმა, დილეტანტებმა, რომლებიც ხეირიანად გარკვეული არ არიან ფეხბურთის სპეციფიკურ, წვრილმან საკითხებში. ფეხბურთს უნდა უხელმძღვანელონ პროფესიონალებმა, ამ საქმის კარგად მცოდნე, გამოცდილმა ვეტერანებმა, მწვრთნელებმა, მსაჯებმა, ფუნქციონერებმა. რასაკვირველია, ფედერაციის შემადგენლობაში ის საზოგადოებრივი მუშაკებიც იქნებიან, რომლებსაც ფეხბურთი უყვართ და ბევრი რამ სასარგებლო შეუძლიათ გააკეთონ მისთვის, მაგრამ, ჩვენი აზრით, ეს უნდა იყოს მხოლოდ ნაწილი ფედერაციის წევრებისა, უმეტესობა კი იქნება ფეხბურთის საქმეებში გამოწრთობილი, გამობრძმედილი სპეციალისტები.

აბა გადავხედოთ საქართველოს საფეხბურთო მეურნეობას, რამდენი რამ გვაკლია, რამდენი რამაა თავმოსაბმელი, გამოსასწორებელი და ხელახლა გასაკეთებელი. მთელს რესპუბლიკაში თითებზე თუ ჩამოთვლით სადღეისო მოთხოვნათა შესაფერის საწვრთნელ ბაზებს, სადემონსტრაციო სტადიონებს. არა მარტო ბავშვებისა და მოზარდების, რესპუბლიკურ პირველობაში მონაწილე ფიზკულტურული კოლექტივების გუნდების, არამედ ოსტატთა გუნდების სავარჯიშო ბაზებიც კი სავალალო მდგომარეობაშია. ადგილობრივი სპორტული ხელმძღვანელები ერთთავად გუნდების დაკომპლექტებაზე და ქულების მოპოვებაზე ფიქრობენ, ამასობაში კი უვარგის მდგომარეობაში მოდის სასწავლო ბაზები, ჭაბუკთა ფეხბურთი თვითდინებაზეა მიშვებული, ბავშვებს არა აქვთ ნორმალური ვარჯიშისა და თამაშის ელემენტარული პირობები.

ამ რამდენიმე წლის წინ საქართველოს ჩემპიონატში მონაწილე გუნდებს მრავალი შეზღუდვა და აკრძალვა დავუწესეთ. შესაძლოა იმ დროს ეს საჭიროც იყო მდგომარეობის გასაჯანსაღებლად, მაგრამ ახლა, როცა მაღალი კლასის ფეხბურთი თანდათან პროფესიულ ლიანდაგებზე გადადის, ეს შეზღუდვები და ლიმიტები უნდა გადაისინჯოს, ფეხბურთს და ფეხბურთელს თავისუფლად ამოსუნთქვის საშუალება უნდა მივცეთ.

რესპუბლიკურ ფეხბურთს იმდენად არ ვმართავთ და ვარეგულირებთ, რამდენადაც ადმინისტრაციულად ვხელმძღვანელობთ და განკარგულებათა მკაცრ ჩარჩოებში ვაქცევთ. ფეხბურთის ფედერაცია სწორედ ის ორგანიზაცია უნდა იყოს, რომელიც კონკრეტულ რეკომენდაციებს შეიმუშავებს საქართველოს პირველობაზე მონაწილე გუნდებისთვის. ფედერაციის მუშაკები საქმის მცოდნე, გამოცდილი სპეციალისტები საჭიროა სისტემატურად ჩადიოდნენ საქართველოს ქალაქებში, რაიონებსა და სოფლებში და ამოწმებდნენ თუ როგორ ვარჯიშობენ იქაური ფეხბურთელები, რა პირობები აქვთ საწვრთნელად, თავიანთი რჩევა-დარიგებით ეხმარებოდნენ და შემწეობას უწევდნენ ადგილობრივ მწვრთნელებსა და საზოგადოებრივ მუშაკებს.

ჩვენ ბევრს ვთხოვთ საქართველოს პირველობისა და ბავშვთა გუნდების მწვრთნელებს, უამისოდ არც შეიძლება, მაგრამ საკითხავია სანაცვლოდ რას ვაძლევთ მათ? გვაქვს თუ არა მწვრთნელებისათვის შემუშავებული და დაგზავნილი ქართულ ენაზე შედგენილი მეთოდური ლიტერატურა, სასწავლო-სამეცადინო სახელმძღვანელოები და თვალსაჩინო მასალა? ამგვარი რამ თუ არსებობს, მხოლოდ რუსულ ენაზე, იგი შედგენილია ჩრდილოეთის პირობებისთვის, ჩვენ კი ჩრდილოეთის ფეხბურთის მეთოდური ლიტერატურა არ გამოგვადგება. დიდზე დიდი განსხვავებაა იმ რეგიონებს შორის, სადაც თოვლსა და ყინულს დედამიწა პარალიზებული აქვს წელიწადში 5-6 თვის მანძილზე, ჩვენში კი პრაქტიკულად სრული წლის განმავლობაში შეიძლება ღია ცის ქვეშ ვარჯიში. ამიტომაც, რუსული სახელმძღვანელო ლიტერატურა კი არ უნდა ვთარგმნოთ, არამედ საკუთარი შევქმნათ, შევიმუშავოთ ჩვენი, მშობლიური, ქართული სახელმძღვანელოები მოზრდილებისთვის, ბავშვებისთვის, რომლებიც მწვრთნელებს ყოველდღიურ საქმიანობაში დაეხმარებიან.

სახელმძღვანელო რა სალაპარაკოა, როცა ქართულ ენაზე არა გვაქვს ფეხბურთის თამაშის წესებიც კი. რამდენადაც გვახსოვს, ფეხბურთის თამაშის კოდექსი ქართულ ენაზე გამოვიდა დაახლოებით 40 წლის წინ და თუ ვინმეს შემთხვევით ჯერ კიდევ შემორჩა ეს არქაული გამოცემა, იგი სახელმძღვანელოდ აღარ გამოდგება, ფეხბურთის წესებში ამ პერიოდში მრავალი ცვლილება მოხდა.

ამიტომაც საქართველოს ახალმა ფეხბურთის ფედერაციამ თავის საქმიანობის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანად უნდა დაისახოს საგამომცემლო საქმე, აუცილებლად გვჭირდება ახალი სპორტული გამოცემა „ფეხბურთი", სადაც შესაძლებლობა გვექნება საფეხბურთო წვრთნის ახალ მეთოდებზე და სისტემებზე ვისაუბროთ, მაყურებელს განვუმარტოთ ფეხბურთის წესების ნიუანსები.

წლიდან წლამდე გაუთავებელი ლაპარაკია ფეხბურთის მსაჯებზე. მსაჯობა ის აქილევსის ქუსლია ჩვენს ფეხბურთში, რომელსაც საშველი არ დაადგა. მსაჯობის ხარისხის გაუმჯობესებას საგანგებო ყურადღება ესაჭიროება, ახალმა ფედერაციამაც ერთ-ერთ გადაუდებელ ამოცანად უნდა დაისახოს მაღალი კვალიფიკაციის მსაჯთა აღზრდა. არბიტრები უმეტესად თბილისში არიან თავმოყრილი, ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში, რუსთავში, ლანჩხუთში, ოზურგეთში, გორში, ზუგდიდში და სხვაგან კი თითო-ოროლა ხეირიანი მსაჯი თუ გვყავს. სანამ რესპუბლიკაში არ შევქმნით პროფესიულად მაღალკვალიფიციურ, კეთილსინდისიერ, ალალმართალ მსაჯთა კორპუსს, ფეხბურთის ნორმალურ განვითარებასაც ვერ მივაღწევთ.

სელექცია! თანამედროვე ფეხბურთში მას უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ჩვენში კი სასელექციო საქმე აშკარად უყურადღებოდაა მიტოვებული და ვინ იცის ამის გამო რამდენი ნიჭიერი, კარგი მომავლის მქონე ფეხბურთელი გვეკარგება თვალსა და ხელს შუა.

ფეხბურთში საქმეს და პრობლემას რა გამოლევს: დისციპლინის დამყარება, უხეშობის აღკვეთა, მაყურებლებთან მუშაობის აუცილებლობა, სპორტული ინვენტარისა და ორიგინალური ფორმის შექმნა, ბურთების ხარისხის გაუმჯობესება, ბავშვთა აღზრდა, ვინ მოთვლის რამდენი რამაა გასაკეთებელი და თავმოსაბმელი ჩვენში.

დღევანდელი რესპუბლიკური საფეხბურთო თავყრილობა, ფეხბურთის ფედერაციის დამფუძნებელი ყრილობა ურთულესი, მეტად პასუხსაგები ამოცანების წინაშე დგას. ჩვენს საფეხბურთო ადმინისტრაციას, მთელს საფეხბურთო მეურნეობას გარდაქმნა ესაჭიროება, ამ გარდაქმნის აქტიური მონაწილე უნდა იყოს ყველა, ვისაც კი ფეხბურთი უყვარს, ვისაც ფეხბურთთან საქმე აქვს. ამიტომაც იმედი გვაქვს ყრილობა ისეთ მოქმედ, აქტიურ ფედერაციას აირჩევს, რომელიც დაინტერესებული იქნება საქართველოში ფეხბურთის განვითარებით და ყველაფერს გააკეთებს ამ კეთილშობილური თამაშის პროგრესისათვის.

# შეიქმნა „დინამო"–2

**სოხუმში** „დინამოს" საფეხბურთო კლუბის საბჭოს ინიციატივით შეიქმნა ახალგაზრდული სარეზერვო გუნდი „დინამო-2". ახალჩამოყალიბებულმა კოლექტივმა უკვე გამართა რამდენიმე საწვრთნელი მატჩი. ამ დღეებში დაბა ეშერის სპორტულ ბაზაზე მისი მეტოქე იყო სსრ კავშირის ჭაბუკთა ნაკრები. პირველი შეხვედრა სტუმართა გამარჯვებით — 2:1 დამთავრდა, ხოლო განმეორებით მატჩში „დინამო-2" შეძლო რევანშის აღება და გაიმარჯვა — 2:0 (ბურთები გაიტანეს თ. ჯიქიამ და ი. გელენავამ).

სასიამოვნოა, რომ 1987 წლის მსოფლიოს ჩემპიონი ჭაბუკ ფეხბურთელთა შორის ი. გელენავა სერიოზული ტრავმის შემდეგ კვლავ დაუბრუნდა ფეხბურთს.

**თენგიზ პაპკორია.** (სოხუმი).

# კვლავ ლანძღვა, სიცრუე...

**ლანჩხუთის** „გურიის" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის არსებობის მანძილზე საკავშირო პრესის ფურცლებზე რამდენიმეჯერ გამოქვეყნდა დაუდგენელი, დაუსაბუთებელი მასალები „ჩაწყობილი" თამაშებისა და სხვა უმსგავსოებათა შესახებ. დაიწერა საპასუხო წერილებიც. გვეგონა ყველაფერი ამით დამთავრდებოდა, მაგრამ ნურას უკაცრავად. „მოსკოვსკი კომსომოლეცის" ა. წ. 6 თებერვლის ნომერში ვინმე პეტრე სპეკტორი წერს, რომ მოსკოვის „დინამოს" ყოფილმა ფეხბურთელმა ალექსანდრე ბოროდიუკმა (ახლა იგი გფრ-ის ბუნდესლიგაში გამოდის) გაუმხილა, თითქოს, ლანჩხუთში თამაშის წინ (კონკრეტულად როდის, არ წერია) სასტუმროს ნომერში უცნობმა პირმა მას და იგორ ბულანოვს შესთავაზა 7-7 ათასი მანეთი, რათა „გურიას" [illegible] მარჯვა. მას შემდეგ, რაც ორივე ფეხბურთელმა უარი [illegible] ლის აღებ[illegible]თან სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები გამოეძახათ და უცნობი პირის ვინაობა გაერკვიათ), მოსულმა მეცენატმა ჩაიცინა და თქვა: „თქვენ არ აიღებთ, მსაჯი აიღებსო", და, მართლაც, იმ დღეს შეხვედრის არბიტრი „მეტოქეთა მეთორმეტე მოთამაშე" იყოო.

ყველაფერი ეს ჭორი, ტყუილი და მონაჩმახი ამბავია. კომპეტენტურმა პირებმა საბოლოო წერტილი უნდა დაუსვან ყოველგვარ ინსინუაციებს, თითიდან გამოწოვილ, არარსებულ ამბებს ქართული საფეხბურთო კლუბების მიმართ, რასაც ცენტრალური გაზეთები მიმართავენ.

**დემურ ლოლაძე.**

გაიმართა უცხოეთის საფეხბურთო ჩემპიონატების მორიგი ტურის მატჩები.

**იტალია**

**23-ე ტური.** „ატლანტა" — „სამპდორია" 2:2, „ნაპოლი" — „კრემონეზე" 3:0, „ფიორენტინა" — „მილანი" 2:3, „უდინეზე" — „ლეჩე" 3:1, „ბარი" — „იუვენტუსი" 1:1, „ჩეზენა" — „რომა" 0:0, „ჯენოვა" — „ბოლონია" 0:0, „ინტერი" — „ასკოლი" 0:0, „ლაციო" — „ვერონა" 0:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ნაპოლი" | 23 | 36-17 | 36 |
| „მილანი" | 23 | 36-16 | 33 |
| „სამპდორია" | 23 | 36-21 | 31 |

**ინგლისი**

**24-ე ტური.** „ქოვენთრი" — „ჩელსი" 3:2, „ლივერპული" — „ევერტონი" 2:1, „ნოტინგემი" — „კრისტალ პალასი" 3:1, „მანჩესტერ იუნაიტედი" — „მანჩესტერ სიტი" 1:1, „შეფილდი" — „მილუოლი" 1:1, „ტოტენჰემი" — „ნორვიჩი" 4:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ლივერპული" | 25 | 50-26 | 49 |
| „ასტონ ვილა" | 23 | 40-21 | 46 |
| „არსენალი" | 23 | 38-24 | 42 |

**შოტლანდია**

**25-ე ტური.** „აბერდინი" — „ჰართსი" 2:2, „დანდი" — „სელტიკი" 0:0, „დანფერმლაინი" — „სენტ-მირენი" 1:0, „ჰიბერნიანი" — „მოზერეული" 1:2, „რეინჯერსი" — „დანდი იუნაიტედი" 3:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „რეინჯერსი" | 25 | 36-13 | 37 |
| „ჰართსი" | 25 | 45-29 | 30 |
| „აბერდინი" | 25 | 39-28 | 30 |

**საფრანგეთი**

**24-ე ტური.** „სოშო" — „ლიონი" 1:0, „კაენი" — „კანი" 1:0, „ბრესტი" — „მონაკო" 1:1, „ნიცა" — „ნანტი" 1:2, „ლილი" — „სენ ჟერმენი" 2:0, „სენტ ეტიენი" — „ბორდო" 1:1, „მეცი" — „მულუზი" 1:1, „მონპელიე" — „მარსელი" 1:1, „რესინგი" — „ოსერი" 3:1, „ტულონი" — „ტულუზა" 0:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბორდო" | 24 | 38-11 | 37 |

**საერთაშორისო ფეხბურთი: შედეგები, ცხრილები**

| | | | |
|---|---|---|---|
| „მარსელი" | 24 | 48-22 | 34 |
| „სოშო" | 24 | 35-26 | 29 |

**ესპანეთი**

**23-ე ტური.** „სევილია" — „ატლეტიკო" 2:1, „რეალი" — „მაიორკა" 1:1, „კასტელიონი" — „ბარსელონა" 1:0, „ოვიედო" — „ვალეკანო" 3:2, „ოსასუნა" — „სან სებასტიანი" 1:1, „ვალიადოლიდი" — „ტენერიფე" 1:2, „სარაგოსა" — „სელტა" 1:1, „ბილბაო" — „ლოგრონიესი" 1:0, „მალაგა" — „ხიხონი" 1:0, „კადისი" — „ვალენსია" 0:2.

| | | | |
|---|---|---|---|
| „რეალი" | 23 | 66-21 | 36 |
| „ბარსელონა" | 23 | 48-22 | 30 |
| „ვალენსია" | 23 | 36-25 | 30 |

**თურქეთი**

**მე-18 ტური.** „ბოლუსპორი" — „ბეშიქთაში" 1:5, „ფენერბახჩე" — „ალთაი" 2:2, „კარსიაკა" — „ტრაბზონსპორი" 1:1, „გალათასარაი" — „სამსუნსპორი" 2:1, „ანკარაგიუჯუ" — „ბურსასპორი" 1:0, „მალატიასპორი" — „ადანასპორი" 2:3, „ზეითუნბურნუ" — „კონიასპორი" 1:2, „საკარიასპორი" — „გენჩლირბერლიგი" 1:3, „დემირსპორი" — „სარიერსპორი" 1:3.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბეშიქთაში" | 18 | 50-12 | 42 |
| „ტრაბზონსპორი" | 18 | 34-17 | 36 |
| „ფენერბახჩე" | 18 | 36-23 | 35 |

**ჰოლანდია**

**21-ე ტური.** „ჰარლემი" — „სიტარდი" 3:0, „ფეიენოორდი" — „არნჰეიმი" 0:0, „გრონინგენი" — „უტრეხტი" 2:0, „ტილბურგი" — „ვალვიკი" 0:2, „აიაქსი" — „ტვენტე" 4:0, „როდა" — „ეინდჰოვენი" 3:1, „ჰააგა" — „სპარტა" 1:0, „დენ ბოში" — „ვოლენდამი" 0:0, „ნიემიგენი" — „მაასტრიხტი" 0:0.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ეინდჰოვენი" | 20 | 60-25 | 28 |
| „როდა" | 21 | 34-22 | 28 |
| „აიაქსი" | 19 | 40-15 | 26 |

**ბელგია**

**მე-20 ტური.** „რესინგი" — „ანდერლეხტი" 0:3, „ანტვერპენი" — „სერკლი" 1:1, „ლიერსი" — „კურტრე" 3:0, „ბრიუგე" — „მეჰელენი" 3:0, „ეკერენი" — „გენტი" 0:1, „ვა...კემი" — „სენტ ტრუდენი" 0:3, „ლიეჟი" — „ბეერსკოტი" 3:1, „ბევერენი" — „სტანდარდი" 0:1, „ლოკერენი" — „შარლერუა" 3:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ბრიუგე" | 20 | 40-16 | 32 |
| „ანდერლეხტი" | 20 | 42-8 | 30 |
| „მეჰელენი" | 20 | 32-8 | 28 |

**საბერძნეთი**

**მე-19 ტური.** „ლევადია" — „კალამარია" 1:0, „ოფი" — „დოქსა" 3:1, „პაოკი" — „აპოლონი" 1:1, „სერესი" — „პანიონისი" 2:2, „ეთნიკოსი" — „აიკე" 0:3, „იონიკოსი" — „ოლიმპიაკოსი" 0:3, „ლარისა" — „პანათინაიკოსი" 1:4, „ვოლოსი" — „არისი" 2:0, „ირაკლისი" — „ქსანტი" 3:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| აეკ | 19 | 39-8 | 30 |
| „ოლიმპიაკოსი" | 19 | 31-10 | 30 |
| „პანათინაიკოსი" | 19 | 38-16 | 29 |

(საქ. ინფ.)

* * *

● **დუბაი.** მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალის მონაწილეებმა არაბეთის გაერთიანებული საემიროების ფეხბურთელებმა აქ ამხანაგური საერთაშორისო მატჩი გამართეს ფინეთის ნაკრებთან. მატჩი ფრედ დამთავრდა — 1:1.

● **მანამა (ბაჰრეინი).** დანიის ფეხბურთელთა ნაკრებმა ამხანაგურ მატჩში გამარჯვება მოიპოვა ბაჰრეინის გუნდთან შეხვედრაში — 2:1.

● **მეხიკო.** მექსიკაში სტუმრად იმყოფებოდა დნეპროპეტროვსკის „დნეპრი". დნეპროპეტროვსკელმა ფეხბურთელებმა 5 მატჩი გამართეს და გამარჯვებები მოიპოვეს: „ოკსტეპეკისთან" — 6:0, „ლეონთან" — 4:3, მექსიკის ახალგაზრდულ ნაკრებთან — 5:0, „ორიზაბისთან" — 4:2 და „ალვარადოსთან" — 5:1.

# სამი წიგნი— გულშემატკივარს

**სამივე** სულ რამდენიმე დღის წინ გამოჩნდა მაღაზიების თაროებზე და თითქმის მაშინვე საძებნი გახდა ფეხბურთის მოყვარულთათვის, თუმცა წიგნების ტირაჟი საკმაოდ დიდია — 100 ათასიდან 200 ათასამდე.

„მარადონა, მარადონა"... ეს წიგნი, რომლის ავტორებია იური ვიბორნოვი და იგორ გორანსკი, გამომცემლობა „ფიზკულტურა ი სპორტმა" გამოუშვა პოპულარული სერიით „საზღვარგარეთის სპორტის ვარსკვლავები" და მასში მოთხრობილია სახელგანთქმულ არგენტინელ ფეხბურთელზე მსოფლიოს 1986 წლის ჩემპიონზე დიეგო არმანდო მარადონაზე, მის სიჭაბუკეზე, ფეხბურთის ვარსკვლავად ჩამოყალიბებაზე, უცხოეთის კლუბებში თამაშსა და სხვა.

25 ფერად და შავ-თეთრ ფოტოსურათზე აღბეჭდილია ფეხბურთელი, რომელიც გულშემატკივრებს „ფეხბურთის მეფის" პელეს პირდაპირ მემკვიდრედ მიაჩნიათ. აქ ერთ-ერთ მათგანზე ორივე ვარსკვლავი — „ფეხბურთის მეფე და უფლისწული" — ერთად არიან გადაღებულნი.

მეორე წიგნი გამომცემლობა „სოვეტსკაია როსიამ" რომ გამოუშვა, ეკუთვნის ფეხბურთის პატრიარქს, 88 წლის ნიკოლაი სტაროსტინს— —„ფეხბურთი წლების მანძილზე". აქ წაიკითხავთ: დიდი ფეხბურთის დასაწყისზე, ჩვენში ლეგენდარული ბასკების ჩამოსვლაზე, ამბავზე ერთი გადათამაშების შესახებ (მოსკოვის „სპარტაკისა" და თბილისის „დინამოს" 1939 წლის ნახევარფინალური მატჩი საკავშირო თასზე) და, ბოლოს, თუ გნებავთ, მეტად ენერგიული „ომის" ნიკოლაი სტაროსტინის თაობაზე ბერიასა და ვასილი სტალინს შორის. ეს წიგნიც საკმაოდაა ილუსტრირებული.

მესამე წიგნი, ესაა ცნობარი ქვეყნის ნაკრები გუნდის შესახებ, რომელიც გამომცემლობა „სოვეტსკი სპორტმა" გამოსცა 200-ათასიანი ტირაჟით. მისი ავტორები არიან ცნობილი სპორტული ჟურნალისტები იური ვანიატი, ნიკოლაი ტრავკინი და ოლეგ კუჩერენკო (შემდგენელი). ცნობარში მოთავსებულია მონაცემები ქვეყნის პირველ (1924-1935, 1952-1988 წწ) და ოლიმპიურ (1956-1988 წწ) ნაკრებებზე, ჩამოთვლილია მათი მონაწილენი, კაპიტნები, მწვრთნელები, გოლები, მოყვანილია მატჩების ბალანსი. საინტერესოა ი. ვანიატის მიერ დაწერილი მოკლე მოგონებანი ნაკრებზე, მის ცალკეულ ფეხბურთელებზე — მურთაზ ხურცილავაზე, ნიკოლაი ტიშჩენკოზე, ოლეგ ბლოხინზე, ცნობილ სპორტულ რადიოკომენტატორ ვადიმ სინიავსკიზე და სხვა. ცხადია, ამ წიგნ-ალბომსაც ახლავს მრავალი საინტერესო ილუსტრაცია. სახელგანთქმულ ოსტატებთან პელესთან, ეუსებიოსთან, ფერენც პუშკაშთან, ჯალმა სანტოსთან, კოლუნასთან, დიულა გროშიჩთან, აგრეთვე მიხაილ იაკუშინთან, ფიოდორ სელინთან, ანდრეი სტაროსტინთან, ვსევოლოდ ბობროვთან, ლევ იაშინთან, ვალენტინ ივანოვთან, ედუარდ სტრელცოვთან, იგორ ნეტოსთან, ვიქტორ პონედელნიკთან ერთად გვიცქერიან გივი ჩოხელის, ზაურ კალოევის, სერგო კოტრიკაძის, მიხეილ მესხის, სლავა მეტრეველის, მურთაზ ხურცილავას, გიორგი სიჭინავას, გივი ნოდიას, რევაზ ძოძუაშვილის, რევაზ ჩელებაძის, რამაზ შენგელიას, თენგიზ სულაქველიძის, ალექსანდრე ჩივაძის, გელა კეტაშვილის სახეები.

**ოთარ ოთარაშვილი.**

# უშუ — ჩინეთიდან საქართველომდე

(დასასრული)

ნის და რეგიონის წარმომადგენლებს.

უშუ-ში იმართება შემდეგი საერთაშორისო ტურნირები:

1. საერთაშორისო ტურნირი ხიანში (ჩინეთი) — 1985 წლიდან;
2. საერთაშორისო ტურნირი ტიან-ნინში (ჩინეთი) — 1986 წლიდან;
3. აზიის ჩემპიონატი იოკოჰამაში (იაპონია) — 1987 წლიდან;
4. ევროპის ჩემპიონატი (ბელგია) — 1986 წლიდან.

შეჯიბრებები უშუ-ში იმართება ხუთ კატეგორიაში:

1. შიშველი ხელი. ვარჯიში მოიცავს ჩან-ჩუანს (გრძელი ხელი), ტაი-ჩუანს და ნან-ჩუანს (ორთაბრძოლის სამხრეთული სტილები);
2. მოკლე ხელი, ვარჯიშში მონაწილეობენ ორპირი მახვილით შეიარაღებული მეომრები, და გრძელი ხელი, მონაწილეობენ შუბებით და ხელკეტებით შეიარაღებული მეომრები;
3. ორთაბრძოლა შიშველი ხელით, ორი ან მეტი მებრძოლის მონაწილეობით და ერთი ან რამდენიმე შიშველხელიანი მებრძოლის შერკინება ერთ ან რამდენიმე შეიარაღებულ მებრძოლთან;
4. ჯგუფური წარმოდგენა;
5. ორთაბრძოლა, რომელიც მოიცავს ტაი-ტუი-შუს (მჩხვლეტავი ხელი), სან-შუ (თავისუფალი ბრძოლა) და ორთაბრძოლები გრძელი და მოკლე იარაღით.

არსებობს უშუ-ს რამდენიმე სახეობა. მათ შორის — ჩრდილო ჩინური, სამხრეთ ჩინური, ადამიანის შინაგანი და გარეგანი (კუნთების) ენერგიების გამოყენებაზე დაფუძნებული სახეობები. ჩრდილო ჩინურ სახეობებში სჭარბობს ფეხის მოძრაობები. სამხრეთ ჩინურში კი ხელის მოძრაობები. შინაგან ენერგიას „ჩი" ეწოდება. ესაა ენერგია, რომელსაც ადამიანი გამოიმუშავებს ფიზიკური და სუნთქვითი ვარჯიშების შერწყმით. ამ ვარჯიშების ერთობლიობა უშუ-ს დაუფლების უმნიშვნელოვანესი პირობაა.

უშუ-ს სპეციალისტმა აუცილებლად უნდა იცოდეს:

1. რომელიმე სახეობის საბრძოლო ხელოვნება. ძირითადად „ჩუანფა" — ცხოველის მოძრაობები;
2. რომელიმე სახეობის „ტაი-ჩი-ჩუანი" — სამკურნალო, გამაჯანსაღებელი ხასიათის საბრძოლო ილეთთა კომპლექსი;



მორიგ მეცადინეობაზე.

3. „ჩი-კუნ"-ის, შინაგანი ენერგიის გამომუშავება;
4. სასურველია იცნობდეს საბრძოლო იარაღებს. ასეთი იარაღი თვრამეტია. იარაღით ვარჯიშის თავდაცვითი ხასიათი გამოიხატება მის სპეციფიკურობაში;
5. თუ უშუ-ს რომელიმე სპეციალისტი მოინდომებს სკოლის გახსნას, მას უეჭველად უნდა ჰქონდეს „ში-ფუ" — ოსტატ მასწავლებლის ხელნაწერი სამემკვიდრეო წიგნი, რომელშიც აღწერილია კონკრეტული სკოლის მოძღვრება.

საქართველოში უშუ-ს განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვის ჩინელ სპეციალისტს სიუიენ-ჩყოშანს. იგი 1980 წლიდან ავარჯიშებს ჯგუფს „თბილისი შაოლინ-სი ჩუან ფა". შაოლინსი ნიშნავს შაოლინის მონასტერს. სიუიენ-ჩყო-შანი შაოლინის ტრადიციების ერთ-ერთი მემკვიდრეა და ცოდნა შეძენილი აქვს ჩინეთში ცნობილ ოსტატ-მასწავლებლებთან (ხუ-პა-ში) ხუ-გვა-ფუნთან და თი-ლუ-სინთან. მას მინიჭებული აქვს უფლება დაარსოს სკოლა და უშუ-ს კანონებით ეს სკოლა შაოლინის ნაწილად ჩაითვლება.

„თბილისი შაოლინ-სი ჩუან ფაში" შეისწავლება:

1. შაოლინ-ტი-ინ-ჩუანი — საბრძოლო ილეთები, რომლებიც ანსახიერებენ არწივის ბრძოლის ხერხებს (ტი-ინ-ჩუანი ნიშნავს ოქროს არწივის ბრჭყალებს);
2. ჩენ-ძია-ტაი-ჩი-ჩუანი. ჩენ-ძია ტაი-ჩი-ჩუანის სკოლის დამაარსებლის ბრძოლის სტილია;
3. ჩი-კუნი — გამაჯანსაღებელი ვარჯიშები;

აღნიშნული სკოლის წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს 1988 წელს რიგაში ჩატარებულ პირველ საკავშირო ტურნირში და პირველობა არავის დაუთმეს. 1989 წელს კიევში მოეწყო საერთაშორისო ტურნირი, სადაც თბილისელები კვლავ ჩემპიონები გახდნენ. ვალერი გალდავას კი გადაეცა პრიზი საუკეთესო ტექნიკისათვის.

„თბილისი შაოლინ-სი ჩუან-ფას" ჯგუფის ინიციატივით ჩამოყალიბდა უშუ-ს საქართველოს ფედერაცია. ფედერაციის დამფუძნებელი ყრილობა ჩატარდა თბილისში. მას ესწრებოდა უშუ-ს საქართველოში მოქმედი ყველა ჯგუფის წარმომადგენელი. ყრილობამ მიიღო რეზოლუცია, დაამტკიცა წესდება და აირჩია აღმასრულებელი კომიტეტი. საქართველოს უშუ-ს ფედერაციის ოფიციალური აღიარებისათვის საკითხი დასმულია მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმში. უშუ-ს საქართველოს ფედერაციის დროული აღიარების შემთხვევაში, საქართველოს ნაკრებს საშუალება მიეცემა უკვე წელსვე მონაწილეობა მიიღოს აზიის თამაშებში.

ფედერაციის ძირითადი მიზანია უშუ-ს პოპულარიზაცია საქართველოში. ამასთან სრულიად რეალურია პერსპექტივა იმის, რომ საქართველოს უშუ-ს ფედერაცია გახდეს საერთაშორისო ფედერაციების დამოუკიდებელი, სრულუფლებიანი წევრი. საკავშირო ფედერაცია ჯერ მხოლოდ ჩამოყალიბების სტადიაშია და ეს გარკვეულწილად ხელისშემწყობი ფაქტორია საქართველოს ფედერაციის აღიარებისათვის საერთაშორისო მასშტაბით.

საქართველოს უშუ-ს ფედერაციის გაწევრიანება რომელიმე საერთაშორისო ფედერაციაში, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი იქნება საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღიარების საქმეში.

**თემო შარვაშიძე,**
**საქართველოს უშუ-ს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი.**

**დავით დემეტრაშვილი,**
**საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის და საქართველოს უშუ-ს ფედერაციის აღმასრულებელი კომიტეტის წევრი.**

## მ. ქურდოვანიძე



**გარდაიცვალა საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელი, სკკპ წევრი მიხეილ გერონტის ძე ქურდოვანიძე.**

**დაიბადა 1916 წელს თბილისში. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო ყვარლის რაიონის ეთერზეთების ქარხნის მთავარ ინჟინრად.**

**1956 წლიდან მ. ქურდოვანიძე საცხოვრებლად გადადის სენაკში და მუშაობას იწყებს ამიერკავკასიის რკინიგზის № 26 საშუალო სკოლა-ინტერნატში მასწავლებლად. 1961 წლიდან იგი ისევ პედაგოგიურ სარბიელზეა — ქ. სენაკის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში, 1962 წელს მისი თაოსნობით სენაკში ბავშვთა და მოზარდთა სპორტსკოლასთან დაარსდა საჭადრაკო კლუბი, სადაც ამავე წლიდან მუშაობდა ჭადრაკის მწვრთნელად. მართლაც რომ შესაშური იყო მისი საქმიანობა სპორტსკოლაში, ამაგდარმა პედაგოგმა დაუცხრომელი შრომით მრავალი ნიჭიერი ახალგაზრდა აღზარდა. მათ შორის ერთი ოსტატი, 27 ოსტატობის კანდიდატი და მრავალი პირველთანრიგოსანი, რისთვისაც 1984 წელს მას საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის წოდება მიენიჭა.**

**მაღალნაყოფიერი შრომისთვის მ. ქურდოვანიძე დაჯილდოებული იყო შრომის ვეტერანის მედლით და სხვა საიუბილეო მედლებით.**

**წავიდა ჩვენგან ღვაწლმოსილი, ამაგდარი პედაგოგი, ახალგაზრდობის აღმზრდელი და სპორტის დიდი მოამაგე მიხეილ ქურდოვანიძე, რომლის ნათელი სახე სამუდამოდ დარჩება მისი აღზრდილებისა და ამხანაგების გულში.**

**საქართველოს სპორტსახკომის ჭადრაკის რესპუბლიკური ფედერაცია.**



**ერის ფიზიკური გაჯანსაღებისთვის ყველა შესაძლებლობა უნდა გამოვიყენოთ, განსაკუთრებით საბავშვო ბაღებში, სკოლებში, პროფტექნიკურ, საშუალო ტექნიკურ და უმაღლეს სასწავლებლებში. ეს დღეს იხე აუცილებელია, როგორც არასდროს.**

**ქართული ჭიდაობით გაიხსნა თბილისის პოლიტექნიკური ტექნიკუმის მეოთხე სპარტაკიადა. დარბაზში, რომ იტყვიან, ნემსი არ ჩავარდებოდა. ახპარეზობას გარკვეულ ხიბლს, ცხადია, საჭიდაოს ჰანგებიც აძლევდა. იმ დღეს საინტერესო ორთაბრძოლები იხილეს მაყურებლებმა.**

**ტექნიკუმის სპარტაკიადა მარტის ბოლომდე გაგრძელდება. მომდევნო ეტაპზე ძალებს მოსინჯავენ სპორტის სხვადასხვა სახეობის წარმომადგენლები.**

ვიქტორ ბუკიას ტექსტი და ფოტო.

## გინესის რეკორდების წიგნი

მოსკოვში სულ ახლახან გამოვიდა „გინესის რეკორდების წიგნი". ეს საქვეყნოდ ცნობილი ტრადიციული გამოცემაა, სადაც აღრიცხულია ყოველგვარი უცნაური რეკორდი და უმაღლესი მიღწევა. წიგნი მსოფლიოს 35 ენაზე 260-ჯერ გამოვიდა. ჩვენში კი ეს პირველი გამოცემაა.

გინესის რეკორდების წიგნი გამოვიდა 110 ათასი ეგზემპლარის ტირაჟით, ფასი — 20 მანეთი. მასში აღნიშნულია ეკონომიკის, პოლიტიკის, მეცნიერების, კულტურის, დემოგრაფიის და, რა თქმა უნდა, სპორტის საოცარი სარეკორდო მაჩვენებლები.

გთავაზობთ გინესის რეკორდების რამდენიმე ფრაგმენტს:

● **მსოფლიოში** ყველაზე ძვირად ფასობდა იტალიელი კინოვარსკვლავის ორნელა მუტის ფეხები, რომლებიც მას 4,5 მილიონ დოლარად ჰქონდა დაზღვეული. ეს რეკორდი ამჟამად ცნობილ არგენტინელ ფეხბურთელს დიეგო მარადონას ეკუთვნის, რომელმაც თავისი ფეხები 7 მილიონ დოლარად დააზღვია.

● **ევროპის** 1988 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ, ჰოლანდიის დედოფალმა ბეატრიქსმა მაღალი სათავადაზნაურო წოდება მიაკუთვნა ეროვნული ნაკრების მწვრთნელს რინუს მიჰელსს და ფეხბურთელს რუუდ გულიტს.

● ცნობილი ბრაზილიელი ფეხბურთელი პინეირო ითვლება საკუთარ კარში გატანილი გოლების რეკორდსმენად. მას ჯერ მცველის პოსტზე გაჰქონდა ბურთები საკუთარ კარში, მერე თავდასხმაში გადაიყვანეს და თავისი მავნე „ჩვეულება" აქაც არ მოიშალა. დაბადების დღეს პინეიროს თანაგუნდელებმა კომპასი აჩუქეს, რომელზეც ამოტვიფრული იყო: „პინეირო, გახსოვდეს, რომ მეტოქე მოპირდაპირე მხარეს იმყოფება".

● **უკვე** 200 წელიწადია დასავლეთ იავას ქალაქ ბაბადანში იმართება „ცეცხლოვანი ფეხბურთის" ტრადიციული მატჩები. ამ მატჩებში მონაწილეობენ ადგილობრივი საშუალო სკოლის ფეხბურთელები, ისინი თამაშობენ ქოქოსის კაკლით, რომელიც ნავთობითაა გაჟღენთილი და ცეცხლწაკიდებული. ალმოდებული ბურთი ღამით კარგად ჩანს ტრიბუნებიდან.

● **მოთამაშე** ძმები იშვიათი მოვლენა არაა ფეხბურთში, მაგრამ სარეკორდოა ის, რომ არგენტინის სოფელ ლავალის გუნდში თამაშობს 11 ღვიძლი ძმა და კიდევ ოთხი მათი ძმა სათადარიგოთა სკამზე ზის. გუნდს ასეც ჰქვია „15 ძმის კლუბი".

## პროფესიონალთა და მოყვარულთა შორის

**ევროპაში** ტრადიციული პოპულარობით სარგებლობს კალათბურთელ ვაჟთა ტურნირი „მაკდონალდსი", რომელშიც მოყვარულ გუნდებთან ერთად პროფესიონალთა კლუბებიც მონაწილეობენ. შარშანდელი ტურნირის, რომელიც ოქტომბერში რომში ჩატარდა, ფინალში თამაშობდნენ ნბა-ს ლიგის წარმომადგენელი „დენვერ ნაგეტსი" და ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელი სპლიტის „იუგოპლასტიკა". გამარჯვება მაშინ პროფესიონალებს დარჩათ.

წლევანდელი ასპარეზობა მოეწყობა 11-13 ოქტომბერს ბარსელონაში. ორი მონაწილის ვინაობა უკვე ცნობილია: ესენია პროფესიონალთა კლუბი „ნიუ-იორკ ნიკსი" და ესპანეთის „ბარსელონა". ერთი მეტოქე უსათუოდ იქნება ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა წლევანდელი თასის გათამაშებაში გამარჯვებული კოლექტივი. მეოთხე მონაწილეს კი საორგანიზაციო კომიტეტი შეარჩევს.

**„სპორტპროგნოზი", მე-5 ტირაჟის პროგრამა (24-25 თებერვალი)**

| სსრ კავშირის ჩემპიონატი შაიბიან ჰოკეიში (უმაღლესი ლიგა) | | პროგნოზი | | |
|---|---|---|---|---|
| 1. „სპარტაკი" (მოსკოვი) — „სოკოლი" (კიევი) | 24.II | 50 | 40 | 10 |
| 2. „დინამო" (რიგა) — „კრილია სოვეტოვი" (მოსკოვი) | 24.II | 40 | 20 | 40 |
| 3. „დინამო" (მოსკოვი) — „ხიმიკი" (ვოსკრესენსკი) | 25.II | 60 | 20 | 20 |
| 4. „ტორპედო" (გორკი) — „დინამო" (მინსკი) | 25.II | 70 | 20 | 10 |
| **იტალიის ჩემპიონატი ფეხბურთში** | | | | |
| 5. „ასკოლი" (ასკოლი) — „ატალანტა" (ბერგამო) | 25.II | 10 | 80 | 10 |
| 6. „სამპდორია" (გენუა) — „ფიორენტინა" (ფლორენცია) | 25.II | 30 | 40 | 30 |
| 7. „იუვენტუსი" (ტურინი) — „გენუა" (გენუა) | 25.II | 80 | 10 | 10 |
| 8. „ბოლონია" (ბოლონია) — „ლაციო" (რომი) | 25.II | 30 | 60 | 10 |
| 9. „რომა" (რომი) — „მილანი" (მილანი) | 25.II | 10 | 60 | 30 |
| 10. „ინტერი" (მილანი) — „ნაპოლი" (ნეაპოლი) | 25.II | 70 | 20 | 10 |
| **ესპანეთის ჩემპიონატი ფეხბურთში** | | | | |
| 11. „ოსასუნა" (პამპლონა) — „ატლეტიკო" (მადრიდი) | 25.II | 10 | 60 | 30 |
| 12. „სარაგოსა" (სარაგოსა) — „ვალენსია" (ვალენსია) | 25.II | 50 | 40 | 10 |
| 13. „სევილია" (სევილია) — „მალაგა" (მალაგა) | 25.II | 60 | 30 | 10 |

რედაქტორის მოადგილე
შ. შიშინაძე

ჩვენი მისამართი:
წერილებისათვის — 380096,
თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო",

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-53,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-58,
„მერანი" — 93-97-20, „მორიგე" — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსზე: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 08743